ინოვაციების როლი კომპანიების განვითარებაში

ნანა კალანდია;

ნათია ღამბაშიძე;

გიორგი ჯაფარიძე

ჯგუფი №26

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ქობლიანიძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში ინოვაციებს უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ბიზნეს სექტორის განვითარებაზე. თანამედროვე კონკურენციის პირობებში ინოვაციები წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს კომპანიების წარმატებისათვის. ინოვაციური მიდგომების გამოყენება საქართველოში არსებული კომპანიებისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. ინოვაციების როლის კვლევა განსაკუთრებით მნიშნელოვანია ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც ცდილობენ ბაზარზე პოზიციების გამყარებასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას.

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ინოვაციების განვითარების ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზს, სწორედ ამ მიზნით ჩვენ მიერ განხორციელდა კვლევა.

ნაშრომში გაანალიზებულია ინოვაციების არსი, მოცემულია ლიტერატურული მიმოხილვა, შეფასებულია ქართული კომპანიების ინოვაციური აქტივობა და საბანკო სფეროს ინოვაციური მიდგომები; მოყვანილია საკუთარი კვლევის შედეგები, რომელიც ავტორებმა ჩავატარეთ რეალურ სივრცეებში. თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებზე დაფუძნებით ნაშრომში მოცემულია შედეგების ანალიზი, ძირითადი მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები.

Abstract

In 21th century innovations have a great influence on development of business sector. In terms of modern competition, Innovation is one of the most significant factor for company's success. Usage of innovative approaches for companies, existing in Georgia has strategic importance. Research of innovations' role is significantly important for those companies which try to strengthen their positions and achieve competitive positions on market.

Master's thesis represents analyses of hindering and stimulating factors for innovative development, for this purpose, research was implemented. In thesis is analyzed innovation's essence, is represented review of literature, is analyzed innovative activity of Georgian companies and innovative approaches of Bank sector; In Master paper is given results of researches , which was implemented by authors in real environment. On the basis of theoretical and practical researches, thesis shows analysis of results, main insights, conclusions and recommendations.